ოთხშაბათი, 27 ივნისი 1907 წ.

48

წელიწადი პირველი № 188

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

უმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილების დასაბრუნებლად სუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, рэдакція «ИСАРИ»

## „ისარი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივლისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 50 კ. მეტი.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. ტფილისს გარედ—4 მ. 50 კ., საზღვარ-გარედ—6 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

21/V-65 №1

ვარო გიორგის ასული ნაცვლიშვილისა, თამარ კონსტანტინეს ასული ნაცვლიშვილისა, კნ. სოფიო გიორგის ასული ჯანდიერისა, ვანო და გიორგი ნაცვლიშვილები, თიკო და სოლომონ ნასიძეები, კოტე, ნიკო, ლადო, სიკო და მათე ახვლედიანიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებთ და მეგობრებს გარდაცვალებას: პირველი—უსაყვარლეს მეუღლის, მეორე—დაუვიწყარ მამის, დანარჩენნი—ძმის, სიძის და ცოლი ძმის

**კონსტანტინე** გიორგის ძის **ნაცვლიშვილისას.**

გამოსვენება ოთხშაბათს, 27 ივნისს, დილის 8 საათზე ტფ. რკინის გზის სადგურიდან. დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—182—2)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
განაზა და ვენერიული. დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**მ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½ ს. კიროჩნი ქუჩა № 9. (თგ.)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

ექიმი
**მ. მაჭავარიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—76)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—125

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—3)

**ქუთაისში**
ექიმი მაცრიუხოვი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჰიშკარიდან. (60—ფოს.—32)



**გევრისამუშაო**
მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აილონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერკავკასიისათვის ტფილისში ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ადრესი: Тифлисъ, Николаевская улица, № 9. (50—73.—48)

**ქუთაისში**
ექიმი ს. ი. ხეჩინოვი
აუწყებს საზოგადოებას, რომ მან შესწყვიტა ავადმყოფების მიღება მარიამობისთვის დამლევამდე. (3—კვ.—3)

ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე
აცხადებს საყოველთაოდ, რომ მომავალ სამოსწავლო წლის დამდეგისთვის **თავისუფალი ადგილები არის მხოლოდ დაბალ მოსამზადებელ განყოფილებაში,** სადაც მიიღებიან ყმაწვილები არა უმცირეს შვიდის წლისა და არა უხნეს ცხრა წლისა. უფროს განყოფილებაში და გიმნაზიურ კლასებში ჯერ-ჯერობით არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ ამ კლასებში მისაღებად თხოვნები არ მიიღება.

მისაღები ეგზამენები და ხელ-მეორედ გამოცდა გიმნაზიის მოწაფეებისა მოხდება 20 აგვისტოს შემდეგ.

თხოვნების მისაღებად და სხვა ცნობების მისაცემად გიმნაზიის კანცელარია ღიაა პარასკეობით და შაბათობით, დილის ათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (4—6.—4)

**ახალი წიგნი**
წ.-კ. გ. წიგნის მაღაზიაში იყიდება ისტორიული მონოგრაფია
**„ამბოხება კახეთისა“**
**1812 წ.**
ა. ფრონელისა.
ფასი ერთი მანეთი
იქვე იყიდება **„მთიულეთი 1804 წ.“** იმავე ავტორისა. (20—უ.—18)

**ლამბაშიძის**
**სანატორიუმი**
პატარა-ცემში
ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე.
პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ლამბაშიძეს. (25—111—24)

ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების
**გამომცემი კომისია**
მიმართავს მოწოდებით ყველა იმათ, ვისაც კი რაიმე სახელმძღვანელო აქვს შედგენილი, მიაწოდონ კომისიას ეს სახელმძღვანელოები და აგრეთვე შეატყობინონ თავიანთი პირობები.

კომისიის თავმჯდომარე **ა. მდივანი.**
ადრესი: სათავად აზნაურო გიმნაზია. (5—6.—1)

## ტფილისი, 27 ივნისი

გლეხთა გადასახლებას მთავარი ადგილი უჭირავს მთავრობის აგრარულს პოლიტიკაში. რა-კი იძულებითი გამოსყიდვა უარყოფილ იქმნა, ხოლო საგლეხო ბანკზე გადაცემული სახაზინო მამულები საკმარისს ფონდს ვერ შეადგენენ გლეხთა მიწათ-მფლობელობის გასაფართოვებლად, მთავრობამ ხელი ჩასჭიდა გადასახლებას და ეს ერთი წელიწადია ყოველ გზით ხელს უწყობს გლეხთა აყრას და შიდა გუბერნიებიდან ციმბირში გადასახლებას. შარშან და წელს გაზაფხულსა და ზაფხულში აუარებელი გლეხი გამგზავრებულა ციმბირს, მაგრამ, როგორც ყველაფერში, ისე გადასახლების საქმეშიაც, ბიუროკრატიას ისეთი უწესოება და ბოროტება გაუმეფებია, რომ ეხლა აღარ იციან, რა გზით იხსნან გადასახლებულნი შეუწყნარებელ გაჭირვებიდან.

ეს ერთი ხანია რუსულ გაზეთებში მრავალი ცნობა იბეჭდება გადასახლებულთა მდგომარეობის შესახებ ციმბირში. ეს ცნობები შემაძრწუნებელ სურათს გვიხატავენ. მთავრობის მეცადინეობით, ერთბაშად დიდ-ძალი გლეხი აყრილა და გამგზავრებულა ციმბირს. ვერც რკინის გზა, ვერც გემები ვერ ასწრობენ და ვერ აზერხებენ მათ გადაზიდვას; ამიტომ აუარებელი ხალხი სადგურებსა და ეტაპებზე იცდის; ორიოდე გროში, რაც მეურნეობის ლიკვიდაციის შემდეგ გადაურჩენიათ, ნელ-ნელა სულ შემოხარჯვიათ და აუტანელის გაჭირვებაში ჩავარდნილან; მშიერ-მწყურვალ ხალხში ათასგვარი სენი გაჩენილა, ბავშვი და ქალი ბუზივით იხოცება... მაგრამ ვინც ეს საშინელი მგზავრობა აიტანა და „დანიშნულ“ ალაგს მიაღწია, ის თურმე უარეს ყოფაში ჩავარდა. მთავრობას წინ და წინვე სრულებით არ უზრუნვია გადმოსახლებულთათვის ადგილების მოსაძებნად, აუარებელ ხალხის მისაღებად და დასასახლებლად. მშიერი ახალშენელი აწყდება ძველად გადმოსახლებულთ ან ადგილობრივ მკვიდრთ, მაგრამ ესენი ნამდვილ ომს უცხადებენ თურმე ახალ მოსულთ, რადგან ეშინიანთ ადგილ-მამული არ წაგვართვანო. გლეხობა იძვრის და ეხიზნება ქალაქებში სამუშაო საქმის მოსაძებნად, მაგრამ ციმბირის ქალაქები უკვე კარგა ხანია ავსილა უსაქმოდ დარჩენილებით და ახლად მოსულთ მათხოვრობის მეტი არა დარჩენიათ რა...

ერთის სიტყვით, აუწერილია ის ტანჯვა-ვაება, რომელსაც გადასახლებულნი იტანენ. შინ რაც ჰქონდათ, გაუყიდეს და დაატოვებინეს, გადმოყარეს შორს ქვეყანაში და აქ სრულებით უმწეოდ და უპატრონოთ დააგდეს. ამას უწოდებს ბიუროკრატია „აგრარულ საკითხის გადაწყვეტას გადასახლებისა და კოლონიზაციის საშუალებით“. ჭეშმარიტად, დიდის და გაუგებარის მოთმინებით არის აღჭურვილი რუსის ხალხი!..

ეს ერთი თვეა რუსული გაზეთები სწერენ ამ უბედურებაზე და აფრთხილებენ მთავრობას. რეაქციონურმა პრესსამაც მიაქცია ყურადღება ამ მოვლენას: დამალვა და ყურის წაყრუება აღარ შეიძლებაო, რადგან „უბედურება მართლა უსაზღვროა“ არისო. ბოლოს, როგორც სწერენ, მთავრობასაც მიუქცევია ყურადღება, მაგრამ ვაი ამისთანა ყურადღებას! განზრახვა დაიბადაო, შესდგეს განსაკუთრებული დეპარტამენტი გადასახლების საქმეთა მოსაწესრიგებლადაო. ბიუროკრატია ნაცად გზას ადგება: განსაკუთრებული კომიტეტი, კომისია, საგანგებო სათათბირო, დეპარტამენტი. ამაზე შორს მისი შემოქმედებითი ნიჭი ვერ სწვდის. დაარსდება ახალი კანცელარიები, ახალი შტატები, რომელნიც ჩაყლაპავენ ისედაც მცირე კრედიტს, რომელიც სახელმწიფოს შეუძლია ამ საქმისთვის გადასდოს, და საქმე ამით დასრულდება. კანცელარიები თავისთვის და კრიზისი ისევ ისე დარჩება და თან და თან უფრო და უფრო გამწვავდება.

აღსანიშნავი ისაა, რომ ციმბირი მართლა ზედ გამოჭრილია ფართო საკოლონიზაციო პოლიტიკისათვის. ყოველისფრით მდიდარი ქვეყანა და თვალუწვდენელი თავისუფალი მიწები საგანგებოდ გაჩენილია სახალშენო საქმის მოსაწყობად. რომლისამე განათლებულ სახელმწიფოს ხელში ციმბირი უმდიდრეს ქვეყნად გადაიქცეოდა და ასჯერ მეტ მოსახლეობას არჩენდა, ვიდრე დღეს არის იქ. რუსეთის ბიუროკრატიის ხელში კი იგი უდაბნოა, ხალხის სატანჯველად გაჩენილი... ციმბირის ინტელიგენცია და რუსთა დაწინაურებული საზოგადოება ეს ორმოცი წელიწადია მოითხოვენ შინაურ თვითმართველობის შემოღებას ციმბირში. მიეცით გზა ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალებს და ისინი გამოაცოცხლებენ ამ ქვეყანას, მოაწესრიგებენ კოლონიზაციის საქმეს და შიდა რუსეთის აგრარულ გაჭირვებათაც შვებას მისცემენო. მაგრამ რუსეთის თვითმპყრობელი ბიუროკრატია, ვითომ სეპარატიზმის შიშით, კუდმოჭრილ ერობასაც არ იმეტებდა ამ განაპირა ქვეყნისათვის. დღესაც, „კონსტიტუციის“ ხანაში, ბიუროკრატია წინააღმდეგია ადგილობრივ საზოგადო ძალთა მუშაობისა და ცენტრალისტურ საბიუროკრატო დეპარტამენტის დაარსებაზე ზრუნავს...

## ახალი ამბავი

✦ **უმაღლესი კურსები.** ტფილისში უმაღლესს კურსების მომწყობმა წრემ გადასწყვიტა უმაღლესი კურსები მოაწყოს სექტემბრიდან. კურსებზე ეხლავე ეწერებიან ბევრნი. ლექციების კითხვაზე კავკასიის შესახებ თანხმობა განაცხადეს პროფესორებმა მ. კოვალევსკიმ, მარრმა, ხახ. ნაშვილმა, მალხაზიანმა, ხარჩენკომ, პირვ.-დოც. ი. ჯავახიშვილმა და სხვათა.

✦ **ესკპროპრიაციის გამოკვლევა.** გაზეთი „ტოვარ“ სწერს: „პოლიციის დეპარტამენტმა გადასწყვიტა, გაგზავნოს ტფილისში ორი თავისი აგენტი იმ ექსპროპრიაციის [illegible] ივნისს მოხდა ერევნის მოედანზე.

✦ **მღვდლის მოკვლა.** როგორც თიანეთის მაზრის სოფ. ახმეტიდან გვატყობინებენ, იქ 25 ივნისს ვიღაც უცნობებს მოუკლავთ მოხუცი მღვდელი სიმონ ბადაშვილი. მკვლელნი ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

✦ **ბოქაულის მოკვლა.** 24 ივნისს, ღამის 2 საათზე, ბაკურციხესა და კოლაკს შუა, გზაში ორ უცნობს მოუკლავს ბაკურციხის ბოქაული ნაცვლიშვილი. მკვლელები საეროზო დარაჯებს დაუხოცნიათ. ეს ნაცვლიშვილი წინად ქალაქში იყო ბოქაულად.

✦ **ოცი თუმნით დაჯარიმება.** „ტფილისის ლისტოკის“ რედაქტორ-გამომცემელი ი. გ. ხაჩატუროვი, გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ორასი მანეთით დააჯარიმეს „ცრუ ცნობების დაბეჭდვისთვის იმის შესახებ, ვითომ განჯასა და შუშაში გაფიცვა მომხდარიყოს“.

✦ **საარქეოლოგიო ექსკურსია.** საარქეოლოგიო საზოგადოების დადგენილებით, ბ. ნი ექ. თაყაიშვილი ამ დღეებში ყარსის ოლქსა და არტანის მხარეს მიემგზავრება ქართულ სიძველეთა შესასწავლად. თუ მოასწრო, თაყაიშვილი ჭოროხის ხეობისაკენაც წავა.

✦ **საავტომობილო მიმოსვლა.** როგორც გავიგეთ, შემდგარა ფრანგთა ამხანაგობა, რომელსაც აზრადა აქვს საავტომობილო მიმოსვლა მოაწყოს ევლახსა და ნუხას შორის, ხოლო შემდეგ ევლახსა და ზაქათალა-ლაგოდეხს შორისაც.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში იგზავნებიან: ხუთის წლით ა. ალექსანდროვი, სამი წლით—სერგეი არჯევანიძე და კონსტანტინე მახვილაძე, და სამხედრო წესების მოხსნამდე—ჩალხია ალუდაური. აეკრძალათ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება: იორდანე მამალაძეს, სერგეი დუდაშვილს, ნოე ბერაძეს, ნ. ავსენოვს, შ. შჩენკტრეიცინს და ალექსანდრე მათიაშვილს.

✦ **მიწის მოწესრიგება.** მიწის მოწესრიგების მთავარ სამმართველოს 1908 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეაქვს 125,580 მანეთი ამიერ-კავკასიაში მიწების მოსაწესრიგებლად.

✦ **ტფილისის ქალაქის საბჭო.** ტფ. საბჭოს ხმოსნები 25 ივნისს დიდის გაჭირვებით შეიკრიბნენ. ორ ახალ საკითხის განხილვა ძლივს მოახერხეს, რომ $10^1/_2$ საათზე გაიქც-გამოიქცნენ და განუხილველი დასტოვეს 28 საქმე. ამ ზაფხულს ხმოსნები აღარ შეიკრიბა, ამ რიგად საქმეები დაუმთავრებელი დასტოვეს და თავიანთი ცოდვები ახალს საბჭოს მოახვიეს. სხდომის დაწყებისას თავმჯდომარემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარუდგინა საბჭოს მოხსენება საარჩევნო სიების (სახელ. სათათბიროსი) შედგენისა და არჩევნების მოხდენის შესახებ. მოხსენება შეეხება ამ საქმეებისათვის საჭირო ხარჯს. გამგეობა ჯერ-ჯერობით თხოულობს 3000 მან. ხმ. ბაღდასაროვმა და ა. ბაბოვმა სთქვეს, ქალაქმა ფული სულ არ უნდა გადასდოს, რადგან საარჩევნო წესი შეგვიზღუდეს და ცალკე დეპუტატის გაგზავნის უფლებაც წაგვართვეს. ქალაქის კასაც ისე დაცარიელდა, რომ წვრილმან ხარჯსაც ველარ უძლევბაო. ამ ხმოსნების აზრით, თუ საჭიროა საარჩევნო სიების შედგენა, გამგეობამ შუამდგომლობა უნდა აღსძრას, ფული ხაზინამ გადასდოს. ხმ. კიუჩიმიანცი სხვა აზრისა იყო: მთავრობამ დააწესა და ჩვენც უნდა ავასრულოთო. მთავრობამ ორი სათათბირო დაითხოვა და ეხლა მესამეში ისეთი დეპუტატები შევლენ, რომ საქმეს გააკეთებენო (სიცილი გალერეიაზე). საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება. მეორე, საკითხი შეეხება ახლად განზრახულ საზოგადოების დახმარებას ამ საზოგადოებას აზრადა აქვს მოაწყოს უმაღლესი კურსები. წაიკითხეს ხმ. თავ. გ. მ. თუმანოვის მოხსენება. საბჭომ დაადგინა, გადასდოს ქალაქმა 5000 მანეთამდე იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას დეფიციტი მოუვიდა. დასასრულ, საბჭომ, თანახმად გამგეობის წინადადებისა, უარჰყო განხილვა ამ წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა და დაადგინა, ქალაქის გამგეობამ იხელმძღვანელოს 1906 წლის აღრიცხვით.

✦ **ტფილისის ახალი ხმოსნები.** დღემდის ტფ. ქალაქის საბჭოში აირჩიეს 79 ხმოსანი, რომელნიც ასე განაწილდებიან—ეროვნებით: სომეხი 45, რუსი 15, ქართველი 14 და გერმანელი 5; ხელობით: ექიმი 14, იურისტი 13, ინჟენერი 10, ვაჭარი 8, პედაგოგი 7, აგრონომი 5, ბანკირი 3, ჟურნალისტი 3, ბუხჰალტერი 2, ნოქარი 2, მუშა 1, სხვა და სხვა ხელობისა 8. უმაღლესი სწავლა მიუღია 62 ხმოსანს.

✦ **ერთი დღე დასასვენებლად.** ტფ. ქუჩების გამნათებელ მუშებს არც ერთი დღე არა აქვთ დასასვენებლად. ვერც კვირაობით ესენი ვერც უქმეობით ვერ იცლიან. აზრადა აქვთ კვირაში ერთი დღე მისცენ დასასვენებლად.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებს, შეაგროვონ და წარუდგინონ გამგეობას ცნობები ისეთ ვაჭრებზე, რომელნიც ქალაქის გადასახადის სიებში მოქცეულნი არიან, მაგრამ წელს სავაჭროდ დუქნები არ გაუხსნიათ გამგეობას უნდა, რომ ესენი წიგნებიდან გამორიცხოს, რომ მათ ფული არ გადახდეთ.

✦ ტფ. ქალაქის თვითმართველობაში წესად არის შემოღებული, რომ მუყაიდ მოხელეებს ათის წლის მომსახურისათვის ჯამაგირები მოემატოთ. ბევრია ისეთი, რომელთათვისაც ათის წლის მსახურისათვის მართლაც მოუმატებიათ ჯამაგირი, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელთაც 20 წელზე მეტი ხანს უმსახურნიათ და არაფერი მიუღიათ. ასეთმა პირებმა ამ დღეებში ქალაქის გამგეობას სთხოვეს ხანგრძლივ სამსახურისათვის წესისამებრ მოემატოს ჯამაგირები.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროს აგენტს შეატყობინოს, ამ 1907 წლის პირველ მეოთხედის სავაჭრო გადასახადი სრულად არის ქალაქის კასაში შეტანილი თუ არა, და თუ სრულად არ არის შეკრებილი ფული, რა მიზეზით, ან რა ზომებია მიღებული გადასახადების დროზე მოსაკრებად.

✦ სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩაზე მცხოვრებ ლამენსკის 25 ივნისს თავისთვის რევოლვერი გულში უსროლია და სასიკვდილოდ დაჭრილა. მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 25 ივნისს, ნაშუადღევის 4½ საათზედ კაშგაროვის ქუჩაზე, ეტლით მომავალ კეზერელისა და ამხანაგობის სარეკტიფიკატო საწყობის კონდუქტორს წამოეწია 4 შეიარაღებული კაცი, 222 მან. წაართვა და მიიმალა.

✦ არწრუნის ქუჩაზე გუშინწინ პოლიციელებმა ნახეს გვამი მოქალაქე ანდრია მლადიშევისა. აღმოჩნდა, რომ მლადიშევი მოკლული არ იყო.

## პრესსა

„დილამ“ პასუხი გაგვცა. წარსულ შაბათის ნომრის მეთაურში ის სწერდა, რომ როგორც პირველ, ისე მეორე დუმაში სოც.-დემ. ფრაქციის ლიდერები სულ კავკასიის დეპუტატები იყვნენ. **ეს გარემოება, რა თქმა უნდა, საკმარისი იყო** ?),*) რომ მთავრობას კავკასია შერისხულ მხარეთ გამოეცხადებინა. და მართლაც ახალ საარჩევნო სისტემისაგან ყველაზე მეტი კავკასიას მოჰხვდა.

ჩვენ ისტორიის ასეთი ახსნა ტენდენციურ ცალ-მხრივობად მივიჩნიეთ და გვეგონა, რომ „დილამ“ შემთხვევით წამოისროლა ასეთი ფრაზა: „ეს გარემოება, რა თქმა უნდა, საკმარისი იყო“ და სხ., მაგრამ ამავე აზრს ჩვენი მოკამათე უფრო დაჟინებით იმეორებს გუშინდელ ნომერში:

მთავრობამ დაუნდობელი სისასტიკით ჩამოგვათალა პოლიტიკური უფლებანი **სწორედ იმიტომ**, რომ საქართველომ ზედი-ზედ სულ სოც.-დემოკრატი დეპუტატები აირჩია, თვით დუმაშიაც კი სოც.-დემ. ფრაქციის ლიდერებათ ქართველები იყვნენ.

მაგრამ იქვე, ათიოდე სტრიქონის შემდეგ „დილა“ ხმა მაღლა აცხადებს:

ჩვენ არას დროს არ გვითქვამს, ვითომ კავკასიას მთავრობის რისხვა დაეტეხოს მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველომ აირჩია სოც.-დემოკრატები, რომ თვით სოც.-დემოკრატიულ ფრაქციაშიაც დუმაში ქართველები ლიდერობდნენ.

„ჩვენ არას დროს არ გვითქვამს!“ რა პასუხი უნდა გაგცეთ ამის შემდეგ, ბატონებო? თუ თქვენ არას დროს არ გითქვამთ, რომ „მთავრობამ დაუნდობელი სისასტიკით ჩამოგვათალა პოლიტიკური უფლებანი **სწორეთ იმიტომ,** რომ საქართველომ ზედი-ზედ სულ სოც.-დემოკრატი დეპუტატები აირჩია, თვით დუმაშიაც კი ს.-დემ. ფრაქციის ლიდერებათ ქართველები იყვნენ,“ თუ ათიოდე სტრიქონის ქვემოდ არც ის გამოგიცხადებიათ, რომ „ჩვენ არასდროს არ გვითქვამსო, ვითომ კავკასიას მთავრობის რისხვა დაეტეხოს **მხოლოდ იმიტომ,** რომ საქართველომ აირჩია სოც.-დემოკრატები, რომ თვით ს. დ. ფრაქციასაც დუმაში ქართველები ლიდერობდნენო“, თუ ეს სიტყვები თქვენი გაზეთის ერთსა და იმავე წერილში არ არის ნათქვამი, ჩვენ გაჩუმების მეტი აღარაფერი დაგვრჩენია. ბოდიშს ვიხდით „ცილის წამებისთვის“ და ამ საგანზე კამათსაც ვსპობთ, რადგან სწორედ ეს იყო დედა აზრი ჩვენის უთანხმოებისა. მხოლოდ ერთს გირჩევთ: როცა სწერთ, ორიოდე სტრიქონით ზევით აიხედეთ და ერთი წუთის წინ დაწერილი წაიკითხეთ ხოლმე, თორემ სიტყვები „გვითქვამს“ და „არც გვითქვამს“ მეტის მეტად ხშირად გვხვდება თქვენს გაზეთში.

კიდევ ... განმ... ჩვენ ვწერდით, რომ „3 ივნისი ლოღიკური დასკვნა იყო რუსეთის „ნაციონალისტურ“ პოლიტიკისა, რომელიც მოითხოვს ერთი ერის უფლების გაფართოვებას მეორე ერის უფლებათა შეზღუდვის ხარჯზე“. ამაზე „დილა“ გვეკითხება:

მაშ აგრე, უებარო სოციალისტებო, 3 ივნისის აქტმა გააფართოვა რუსის ერის უფლებანი? ნუ თუ მართალა ფიქრობთ, რომ რუსის ერი ეწოდება იმ 130,000 მემამულეს, რომელიც

და სხ. და სხ. შემდეგ „დილა“ მოჰყოლია ჩვეულებრივ დემაგოგიას, იაფფასიან აგიტაციას და სერიოზულად გვიმტკიცებს, რომ 130,000 მემამულე რუსის ერი არ არისო. ასე იცის აჩქარებულმა ქარაფშუტაობამ და... უმეცრებამ.

თუ როგორ ვუყურებთ ჩვენ 3 ივნისის აქტს, ამის გაგება ადვილად შეიძლება ჩვენი გაზეთის მე-117 და 125 ნომრებიდან. ჩვენ ვწერდით, რომ 3 ივნისის კანონს ორი მხარე აქვს: კლასსიური და ეროვნული. ერთის მხრით ახალი კანონი ზღუდავს მშრომელთა უფლებებს და აფართოვებს შეძლებულ კლასთა უფლებებს. მეორე მხრით კი ახალი კანონი აფართოვებს ერთი **ერის** უფლებებს მეორე ... გვეკითხება, თაი „3 ივნისის აქტმა გააფართოვა რუსის ერის უფლებანიო“? დიაღ, გააფართოვა. მაგრამ „დილას“ ერთმანეთში დომხალივით აურევია ორი ცნება, ეროვნული და კლასსიური. 3 ივნისის აქტმა გააფართოვა უფლება რუსის **ერისა**, როგორც იურიდიულ ერთეულისა და შეზღუდა სხვა **ერების** უფლებანი, როგორც იურიდიულ ერთეულებისა. მაგალითად, ამიერ-კავკასიაში 100,000 რუსსაც იმდენივე უფლება აქვს, რამდენიც 2½ მილიონ თათარს: ორივენი თითო დეპუტატს ირჩევენ: ვარშავაში 25,0000 რუსიც ერთ დეპუტატს ირჩევს და 600 ათასი პოლონელიც, ერთს ირჩევს. ეს გახლავთ ერთი **ერის** (უკეთ რომ ვთქვათ, ეროვნების) უფლებათა გაფართოვება მეორე **ერის** ხარჯზე. 3 ივნისის კანონს საფუძვლად უდევს რუსის (და არა რუსეთის) **ეროვნების** უფლებათა გაფართოვება ერთი მხრით და მშრომელ ხალხის, შეუძლებელ კლასსების უფლებათა შეზღუდვა—მეორეს მხრით. ეს ორი ცნება „დილამ“ ერთმანეთში დომხალივით აურია და შესაფერი აბსურდული დასკვნა გამოიყვანა ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნებათა აბსურდულ არევ-დარევიდან.

დასასრულ, „დილა“ გულმტკივნეულად გვირჩევს და პათოსით გვიკივის: „რას სჩადით? გონს მოდით!“-ო. გმადლობთ რჩევისთვის, მაგრამ ნება გვიბოძეთ ჩვენც სამადლობელო გადაგიხადოთ და რჩევითვე გიპასუხოთ: თავი დაანებეთ ქარაფშუტულ დემაგოგობას, ბავშვურ აგიტაციას, „გვითქვამს“ „არ გვითქვამს“-ით კოჭაობას, სულ უბრალო მარტივ და საანბანო ცნებათა არევ-დარევას, საკითხის განგებ გახლართვას და მერე გვირჩიეთ გონზე მოსვლა, თორემ თქვენც ტყუილ-უბრალოდ ხარჯავთ მელანს და ჩვენც გვახარჯვინებთ. მკითხველსაც პატივისცემა და შებრალება უნდა!

*) ხაზს ყველგან ჩვენ ვუსვამთ.

### ცოტა რამ სოფლის სკოლების სამზრუნველოებზე

ბატონ-ყმური წეს-წყობილება, რომელსაც განვიცდიდით მოძრაობის დაწყებამდის, სკოლას თავის პოლიტიკის იარაღად ისახავდა. სკოლას ამზადებინებდა მონა-მოსამსახურეებს, ზრდიდა მათში უენო მორჩილებას, ჰკლავდა ყოველ გვარ მისწრაფებას, მიმართულს წეს-წყობილების წინააღმდეგ. სკოლაში შემოიღეს თავისებური მეთოდი, ეგზამენები და სხვა. შეიმუშავეს მთელი რიგი სასჯელისა, საჩუქრებისა, რაიცა დამყარებულია შიშსა და თავმოყვარეობაზე და რაიც ანვითარებს მოთმინებას, სიცრუვეს და მელა-ძუობას.

ბიუროკრატიამ არც მასწავლებლები დასტოვა დაუმახინჯებელი. ჩაუკლა თვითმოყვარეობა, არარად უქცია პიროვნება, რათა ამ გზით მასწავლებელი თავისი სურვილის უსიტყვო აღმასრულებლად გადაექცია. ამ შემთხვევაში იგი სამასწავლებლოდ გამზადებულ კანდიდატზე ათას დაწესებულებას ეკითხება და სხვა.

ყოველისავე ამ უკულმართობის წინააღმდეგ იფეთქა სიძულვილმა, რომელმაც გამოიწვია რაღაც უფლებების მსგავსი. სხვათა შორის, სოფლის საზოგადოებებს ნება მიეცეთ სამზრუნველოებათა არჩევისა, სოფლიდან თითო კაცისა. ეს არჩეული პირები მამასახლისსა და ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად შეადგენენ სკოლის სამზრუნველოს. სამზრუნველოები ზრუნავენ სკოლის ნივთიერ მდგომარეობაზე და ანგარიშს წლის ბოლოს უდგენენ სახალხო სკოლების ინსპექტორებს. სამზრუნველოს უფლება ეძლევა წარადგინოს თავისუფალ ადგილზე დასამტკიცებლად ესა თუ ის მასწავლებელი. სწორედ ამით უნდა ისარგებლონ საზოგადოებებმა და მასწავლებლებმა, რომ ეს უკანასკნელიც ხელიდან არ გაუსხლტეთ, ისე როგორც გაუსხლტათ ბევრი სხვა რამე. აუცილებლად საჭიროა იქ, სადაც ჯერ არ არსებობს პროფესიონალური კავშირები, შესდგეს მასწავლებელთა ჯგუფები, რომელთაც მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭირონ სამზრუნველოებთან, რათა ადგილობრივ მასწავლებელთა ჯგუფის და სამზრუნველოს თანხმობით ხდებოდეს კანდიდატის წარდგენა დასამტკიცებლად. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ზევიდან არ დაიწყონ მასწავლებლის დანიშვნა და ამით ეს უფლებაც არ გააუქმონ. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ზემოხსენებული უფლებები ჩვენში საცდელათა აქვს შემოღებული, ხოლო ყუბანის ოლქისთვის იგი უკვე დამტკიცებულია. **ა. ხუცრუა.**

## პროვინციის ცხოვრება

**კახეთი.** ვინ არ იცის როგორ კაწირებით იხდიან დღეს სოფლის მცხოვრებნი სადგილ-მამულო გადასახადს. გადასახადების აკრეფაში ხშირად მიმართავენ ხოლმე სხვა და სხვა ზომებს. ეს გადასახადი ბევრგან უსწორ მასწორად არის გაწერილი. ბევრს იმდენი აქვს შეწერილი, რამდენისაც მამული არ მოუპოვება. ამაში კი თვით სოფლელთ უდევთ ბრალი თავიანთის უცოდინარობით. თვით სოფლის ამორჩეული კაცები ადგენენ ცნობებს მამულის რაოდენობის შესახებ და შემდეგ ამ ცნობების და ქვაღად აწერავენ ხარჯს.

რასაკვირველია, ... მესაკუთრენი ადგენენ სწორე ცნობებს, ... კიდევ ისე არის ... როგორც სახელმწიფო გლეხნი. ბევრს ასეთ სოფელში როგორც წესია, ისე არა ჰზომავენ, არამედ ვარაუდით. ამდენი დღისა იქნება, ამდენი დღე გუთნის ხოლმე და ასე აგროვებენ ცნობებს. ვენახებს თოკებით ზომავენ, არც საჟენები, არც არშინები; ამასთან ვენახს უძახიან მთელ შემოღობილ ადგილს, სადაც ვაზებია, თუნდა შიგ ბევრი ადგილი იყოს გასაშენებელი. ზოგან სადაო ადგილებს მომიჯნავე სოფლები თავ-თავიანთ საზღვრებში სწერავენ. ეს და ხარჯის გადახდა დიდი საბუთი გონიათ მამულის დასარჩენად. ზოგი შეცდომით თუ ეშმაკობით სანადლო, საავგნტო და სხვა უწყების მამულებს საკუთრებად აჩვენებს.

მერე „ოკლადნოი ლისტები“ რომ მოსდით და ხარჯს ითხოვენ, განცვიფრებაში მოდიან სოფლელნი, ამდენი მამული სადა გვქონს და ამდენ ხარჯს რათა გვთხოვენო. იწყობენ საჩივრებს, ქაღალდების წერას, არჩეულ კაცების გზავნას; საქმე ებმება საზაზინო პალატაში, საგუბერნიო და სამაზრო სამართველოებში და გარდასახადთა ინსპექტორთან და ვიდრე საქმე ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადავა, მეორედან—მესამეში და დაბოლოვდება, ხარჯი ჰსდებათ. ასეთი მაგალითი ბევრი მოიპოვება კახეთში.

ამ ჟამად ხელ-ახლად იწერება მამულები. როგორც კერძო მესაკუთრენი, ისე საზოგადო სასოფლო მფლობელნი სწერავენ მამულის რაოდენობას და ადგენენ სამაზრო სადგილ მამულო გადასახადთა გამწერ კომისიაში.

ეხლა მაინც, წინანდელი მაგალითები რომ არ განმეორდეს, საჭიროა ძრიელ ფრთხილად მოექცნენ ცნობების შეკრებას. მამულები უნდა ასწერონ როგორც შესატან განცხადების ფურცლებშია კითხვები დასმული. იმაზე უკეთესი არაფერი იქნებოდა, მიწის მზომელი რომ მოეწვიათ და სოფლებში იმათ აეზომათ მამულები, რაიც დიდ ხარჯს არ გამოიწვევდა. მაინცა და მაინც თვით სოფლელთ არ შეუძლიანთ ამ ცნობების წესიერად აღნუსხვა, უეჭველად უნდა მცოდნე პირი მიიშველიონ, რაც ძვირად არ დაუჯდებათ და ორიოდ მანეთის გულისთვის დიდ საქმეს არ გააფუჭებენ. ამ შემთხვევაში, ე. ი. დაზომვასა და ანგარიშში, სოფლელთ შეუძლიანთ დაიხმარონ მოსწავლე ახალგაზდობა.

## ფელეტონი

### კულტურის ისტორია საქართველოში

22, 23, და 24 ივნისს საკრებულოს დარბაზში პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა ბ-ნმა ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა სამი ლექცია: „კულტურის ისტორია საქართველოში უძველეს დროიდან მეცამეტე საუკუნემდე“.

ქართველი ერის ისტორიის უძველეს ხანის შესახებ ლექტორმა სთქვა, რომ ამაზე, ჯერ-ჯერობით მაინც, მცირე წყაროები მოიპოვება, მაგრამ ზოგიერთ ფრიად სარმედო საბუთის შემწეობით მაინც შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ ქართველები ძველად იქ არა სცხოვრობდნენ, სადაც ახლა სცხოვრობენო. ქართველების ძველი სამშობლო უნდა ყოფილიყო შავი ზღვის სამხრეთი ნაწილი, ანუ კაპადოკიის პროვინცია მცირე აზიაში. ამის თვალსაჩინო საბუთად ლექტორმა მოიყვანა ერთი საინტერესო ცნობა. გასულ საუკუნის სამოციან წლებში მცირე აზიაში მყოფ ინგლისის ერთ ელჩს მოხსენება წარუდგენია თავისს მთავრობისათვის, სადაც, სხვათა შორის, იხსენიებს, რომ მცირე აზიაში, კაპადოკიის მხარეს 600,000 მცხოვრებზე მეტი ლაზურად ლაპარაკობსო. ლაზური, როგორც ვიცით, იგივე მეგრული, იგივე ქართული ენაა. გასაოცარია, საიდან უნდა შეესწავლათ ამდენ სულს ლაზური ენა მცირე აზიაში? აქ ორნაირი ახსნა შეიძლება. ან ქართველების გავლენა იმდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო ამ მხარეში, რომ იქაურ მცხოვრებლებს ქართული ენა შეეთვისებინათ, ან ისინი უნდა იყვნენ ჩამომავალნი იმ ქართველებისა, რომელნიც ძველ დროში მათთან ერთად მცირე აზიაში სცხოვრობდნენ, მაგრამ დროთა ვითარებისა გამო ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ.

პირველი აზრის მიღება ყოვლად შეუძლებელია, რადგან ისტორიამ არ იცის ისეთი ხანა, როცა საქართველოს გავლენა მცირე აზიაზე იმდენად ძლიერი ყოფილიყოს, რომ იქ ნახევარ მილიონზე მეტ ხალხს მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე შეენარჩუნებინოს ქართველების ზეგავლენით შეთვისებული ენა. მხოლოდ ერთი დრო იყო, როცა, ასე თუ ისე, გავლენა ჰქონდა საქართველოს კაპადოკიის მახლობელ ქვეყნებში—სახელდობრ თამარის მეფობის დროს. მაგრამ ქართველებმა ეს ხანა ვერ გამოიყენეს თავიანთ სასარგებლოდ, შავი ზღვის სამხრეთის ადგილები ბერძნების ბატონიშვილებს გადასცეს, და მათთვის ტრაპიზონის იმპერია დაარსეს.

ჭკუასთან უფრო ახლოა მეორე მოსაზრება. ის გარემოება, რომ ექვსას ათასს კაცს ლაზური ენა სცოდნია, შეურყეველ საბუთად უნდა ჩაითვალოს იმისა, რომ ქართველების პირვანდელი სამშობლო კაპადოკიის მხარე იყო. გარდა ამისა, საქართველოს უძველეს სასაფლაოების კვლევა-ძიებამ და იქ ნაპოვნ თავის ქალებ-ს შესწავლამ მეცნიერნი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ეს თავის ქალები არაფრის გზით არ ეკუთვნიან იმ მოდგმის ხალხს, რომელიც ეხლა ამიერ-კავკასიაში სცხოვრობს—არც ქართველებს და არც სომხებს. მაშასადამე, სჩანს, რომ იმ თავის ქალების მექონნი კავკასიაში ქართველებზე ადრე ყოფილან ბინადორნი, ხოლო ქართველები შემდეგ დასახლებულან. ქართველების გადმოსახლება ამიერ-კავკასიაში, ლექტორის აზრით, მოხდა მეთერთმეტე საუკუნეში ქრისტეს დაბადების წინად, დაახლოებით იმ ხანებში, როცა ურიათა ქვეყანაში მეფობდნენ საული და დავით წინასწარმეტყველი. მცირე აზიაში ქართველებს სამხრეთიდან მოაწვნენ სემიტელთა ერები, დაუწყეს მათ ძლევა და ცოტ-ცოტათ ქართველები ჩრდილოეთისაკენ წასწიეს.

ჯერ მოძრაობა დაიწყეს სემიტელმა ჯგუფებმა, შემდეგ მათ მიემატნენ ინდო-გერმანელები. უძველეს ხანაში კი უფრო სემიტელ ჯგუფთა მოქმედებას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. დაბადების პირველ წიგნის დამწერიც იხსენიებს ქართველებს მოსოხის სახელწოდებით, ხოლო წინასწარმეტყველი ეზეკიილი ტობალას სახელით. ორივეს ქართველები მადნის ხელოვნების მცოდნედა ყავს გამოყვანილი. ქართველების უძველეს დროის სარწმუნოებაზე ლექტორმა სთქვა, რომ მაშინდელი უმთავრესი ღმერთი მთვარე უნდა ყოფილიყოო. ეს მოსაზრება დაამტკიცა საინტერესო ძველის თქმულება ზნე-ჩვეულებებით. ქრისტიანობამ ძველ სარწმუნოების და ზნე-ჩვეულების მრავალ საუკუნის განმავლობაში, რა თქმა უნდა, თავზარი დასცა და საშინლად შესცვალა იგი, მაგრამ სავსებით მისი გაქარწყლება მაინც ვერ შესძლო. ახლაც მოიპოვება ბევრი თქმულება, სადაც მომქმედ პირად გამოყვანილია თვით ქრისტე და ქრისტიანული წმიდანები, მაგრამ მოქმედების შინაარსი იმ დროინდელია, როცა ქრისტესა და ქრისტიანობაზე ჰქპანებაც არ იყო. საკვირველია, რომ ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართველ ერს მთვარის თაყვანის-ცემა წმინდა გიორგზე გადაუტანია: ამ მოსაზრებას ლექტორი ამტკიცებს დღემდე დარჩენილი და მშვენივრად შენახულ სხვა და სხვა თქმულებით. სხვათა შორის მოიყვანა ერთი ამნაირი საბუთი. პირველ საუკუნეში ქრისტეს წინად საქართველოში მოგზაურობის დროს ბერძენთა ისტორიკოსს სტრაბონს აუწერია დღეობა, მთვარის პატივ-საცემლად გამართული. ლექტორმა ეს აღწერა დღეობისა შეადარა დღევანდელ ურთ-ერთ წმ. გიორგის დღეობის აღწერას და მსგავსება იპოვნა. წმ. გიორგის დღეობაში ბევრია ისეთი ჩვეულება, რომელსაც ქრისტიანობასთან საერთო არა აქვს რა და ქრისტიანულის მოსაზრებით ამის ახსნა ყოვლად შეუძლებელია. მთვარეს მთავარ ღმერთად ხდიდნო, სთქვა ლექტორმა, სამი ტომის ხალხნი—ქართველები, ქარანელნი და არაბნი, რადგან მათ ქვეყნებში ძლიერი სიცხეები იცოდა და დღის პაპანაქებით შეწუხებულ ხალხს ეგონა, რომ ღამე დამამშვიდებელ სიგრილეს მთვარე გვიგზავნისო. მთვარე მთავარი ღმერთი უნდა ყოფილიყო ქართველებისა იმ დროს, როცა ისინი კაპადოკიის მხარეს სცხოვრობდნენ, რადგან იქ უფრო ცხელა და მზის სხივები უფრო მწვავეა, ვიდრე ახლანდელ საქართველოში.

მეორე საუკუნიდან ქრისტეს დაბადებამდე საქართველოში უკვე თავი იჩინა ორმა კულტურულმა მომდინარეობამ. დასავლეთ საქართველოს კულტურული კვალი დაამჩნია საბერძნეთ-რომმა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს—სპარსეთმა.

სპარსეთის კულტურის ზეგავლენა გაძლიერდა განსაკუთრებით სასანიდების გვარეულობის გამეფების შემდეგ. პოლიტიკური გავლენა სპარსელებისა ძლიერი იყო, მაგრამ როცა სპარსელებმა ცეცხლის თაყვანის ცემა, მაზდაიანობის კულტი შემოიღეს საქართველოში, მაშინ პოლიტიკურ ზე-გავლენას სარწმუნოებრივ ზეგავლენაც დაერთო. მაზდაიანობის ზეგავლენა იმდენად ძლიერი იყო ქართულ კულტურაზე, რომ მისი კვალი ჩვენში დღესად არ გამქრალა. ეს კვალი ძლიერია თუშ-ფშავ-ხევსურეთში. პროფესორმა მაქსიმე კოვალევსკიმ დაიარა ეს მხარეები და თავისს თვალით ნახა ფშავ-ხევსურთა სასაფლაოები, ე. ი. სახლები, სადაც ინახავდნენ მკვდრებს. იქ ზოგი მიცვალებული მიწაზე ეგდო თურმე, ზოგიც კუთხეში იყუდა, ფრინველებს და გარეულ მხეცებს თავისუფლად შეეძლოთ შიგ შესვლა, ამიტომ ასეთი სახლი სიბინძურის და საზარლობის სურათს წარმოადგენდა. ეს ჩვეულება მათში მხოლოდ ამ ოციოდ წლის წინად მოისპო. მაზდაიანობის კვალი ბარშიაც დარჩენილა. დღესაც, როცა ვინმე გარდაიცვლება, ფანჯრებს გააღებენ ხოლმე. ამ ჩვეულებას ქრისტიანობასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

მერე საერთო რა აქვს მთიულთა სასაფლაოებსა და ზემო მოყვანილ ჩვეულებას მაზდაიანობასთანაო? შეიძლება იკითხოთ. აი საერთო რა აქვს. მაზდაიანობის მოძღვრება დამყარებული იყო ოთხის სტიქიის—მზის, დედამიწის, ჰაერის და ცეცხლის თაყვანისცემაზე. ამ სტიქიონების თაყვანისცემამ სპარსელები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ადამიანი გამხრწნადი შეადგენდა უწმინდურებას და არავითარი კავშირი არა ჰქონდა ზემოხსენებულ სათაყვანებელ სტიქიონებთან. ამ მოძღვრებით სუფევდა ორი სამფლობელო—კეთილისა (ორმუზდი) და ბოროტისა (ჰარიმანი). სამყაროც ორად იყო გაყოფილი: დღე—კეთილი, ღამე—ბოროტი. ადამიანიც ორად იყო გაყოფილი: სპეტაკი სული და ბოროტი—გამხრწნადი გვამი. როცა ადამიანი გარდაიცვალებოდა, სპეტაკი სული განთავისუფლდებოდა და დარჩებოდა მხოლოდ გამხრწნადი გვამი, რაც უწმინდურად უნდა ჩაეცხოვნა. გვამი, როგორც გამხრწნადი შეურაცხყოფდა წმიდა სტიქიონს—მიწას და ამიტომ მიცვალებულს არ ასაფლავებდნენ, რომ არ შეურაცხეყოთ დედამიწა. ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ფანჯრების გაღებაც სწორედ ამავე მოძღვრებით უნდა აიხსნას.

არის კიდევ ერთი ჩვეულება ჩვენში. პურის ცხობის დროს პირს აიკრავენ ხოლმე. ამ ჩვეულებას ახლა იმითა ხსნიან

ბაც, რომელნიც ზავზულობით სოფლად არიან.

**მული.**

—

**ლანჩხუთი** (გურია). უკვე მოხსენებული გვქონდა („ისარი" № 131), რომ ლანჩხუთის საზოგადოებიდან ასახლებენ 52 კომლს. ვადა იყო 21 ივნისი, რა დროსთვისაც ყველა გადასახლებული უნდა გამოცხადებულიყო ბოქაულთან. 21 ივნისისთვის დანიშნული იყო ყრილობაც. ამ დღეს ოზურგეთიდან მოვიდა ტოლმაჩევი და ხალხს, მათ შორის, რამდენსამე გადასასახლებელს, ეზოში თავი მოუყარა. ტოლმაჩევმა და ბოქაულმა მიქიაშვილმა მიმართეს ხალხს შემდეგის სიტყვებით: „ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ თქვენში ინახავენ გადასახლებულები თავს და თურმე არა სურთ გამოცხადდნენ, გაფრთხილებთ უკანასკნელად, თუ არ დაგიჭერიათ გადასახლებულები და არ წარმოგიდგენიათ, იძულებული ვიქნებით მივმართოთ უკიდურეს ზომებს. თქვენ სრული უფლება გეძლევათ შეიარაღდეთ და თქვენ ასე შემწუხებლებს წინააღმდეგობა გაუწიოთ და კიდეც მოჰკლათ, რადგან მთავრობის მოწინააღმდეგის მოკვლა ყველას ეპატიება. გადასახლებულები გაიყოფებიან ორ კატეგორიად, მეორე კატეგორიის გადასახლებულნი აქ არიან ყველანი და ძალიან ჭკუაც იხმარეს, რომ მოვიდნენ, მაგრამ ამათ არ დავიჭერ, განაგრძო ტოლმაჩევმა, სანამ პირველ კატეგორიისებს არ მომიყვანთ. ვადას ორი კვირის გაძლევთ. აგრეთვე მივიღე ცნობა, რომ ვითომ ორგანიზაციის წევრებს ხელახლა განუზრახავთ მიქიაშვილის მოკვლა. იცოდეთ ბოქაულს თუ რამე მოუვიდა, პასუხის მგებელი თქვენ იქნებით".

ამ რიგად ორი კვირის ვადა მისცა ხალხს გადასასახლებელთა დასაჭერად; მანამდი კი მეორე კატეგორიისანი თავისუფალნი არიან. ასეა საქმე ჯერ-ჯერობით. ვნახოთ რა იქნება ორი კვირის შემდეგ! **ალექსანდრე.**

# რუსეთი

—

✦ **დიდი საჩუქარი.** პეტერბურგის პოლიციას გამოუცხადებია, ვინც ვინმე რუცენკოსა და ლაკუტისს დაგვაჭერინებს, ან მათ ბინებს გვაჩვენებს, საჩუქრად 125000 მანეთს მიიღებსო. რუცენკოს „გნივან" ის საზოგადოებიდან გაუტაცნია 180000 მანეთი, ლაკუტისს ყალბ ქაღალდებით სხვა და სხვა დროსა და სხვა და სხვა ადგილებიდან წაუღია 250000 მანეთი. პოლიციაში გამოკიდულია ორივეს ფოტოგრაფიული სურათები. დილიდან საღამომდის პოლიციის ყველა უბნებს აურებელი ხალხი აწყდება თურმე.

✦ **სასამართლო.** ვილნოში 7 სალდათს დახვრეტა გადაუწყვიტეს სარევოლიუციო აგიტაციისთვის და წინააღმდეგობის გაწევისთვის. დახვრეტა გენ.-გუბერნატორმა უვადო სიკვდილით შესცვალა.

კროლევცაში, ჟიტომირში და კიევში დაიწყო ებრაელთა აკლების საქმეების გარჩევა. მარტო კროლევცაში დასახებულია 380 მოწმე, ბრალდებული—77. კიევში ოთხ კაცს ებრაელთა აკლებისთვის დაპატიმრება მიუსაჯეს ერთი წლიდან ოთხ თვემდე („რ. ს.").

✦ **ახალი „განმარტება."** საერო გაზეთების სამინისტრომ მრავალ ქალაქსა და კერძო პირს მისცა უფლება საშუალო სამეურნეო და ტეხნიკურ სასწავლებლების გახსნისა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ არც ერთ სასწავლებელში ებრაელები $10\%$-ზე მეტი არ მიიღონ. („რ. ვ.")

—

## მედიატორეთა განჩინება.

**1907 წელს, ივნისის 19-სა დღეს.**

მედიატორე-მოსამართლეებმა განიხილეს ის. კვიცარიძისა და გაზეთების დამტარებელ გამყიდველთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება და დაადგინეს:

1. მეგაზეთეების მოთხოვნა, რომ თვითეულ გაზეთზე მათ მიეცეთ გაყიდვისათვის $1^1/_2$ კაპეიკი, უსაფუძვლოდ იქნეს მიჩნეული, რადგან გამოირკვა, რომ თვით კვიცარიძე გაზეთებს იღებს რედაქციებისაგან $3^1/_2$ კაპ. და არა 3 კაპეიკად, როგორც ამას მეგაზეთეები ამტკიცებენ, და, მაშასადამე, თვით კვიცარიძეს რჩება მხოლოდ $^1/_2$ კაპეიკი კანტორის ხარჯების დასაფარავად და თავისი და სხვა მომხმარე პირთა შრომის ჯილდოთ. შენიშვნა: ეს გადასწყდა ოთხი ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ერთისა, რომელიც იმ აზრისა იყო, რომ გაზეთებს მომატებოდა $^1/_4$ კაპ. ძველ ფასზე.

2. გაზეთების მოტანისთვის სადგურიდან კანტორამდე მეგაზეთეებს ეძლევათ თვეში ათი მანეთი, თუ ტფილისის და ბათუმის გაზეთები ერთად იქნება მოტანილი; თუ კი ბათუმის გაზეთები ცალკე იქნება მოტანილი, მაშინ ბათუმის გაზეთების მომტანს თვეში ეძლევა ორი მანეთი და დანარჩენთ კი—რვა მანეთი.

3. თვიურ დამტარებელთა მოთხოვნები, რომ მათ მოემატოთ $20\%$, გორაზე დამრიგებელს მიეცეს თვეში 7 მანეთი, დათხოვნა ეცნოს წინდაწინ ორი კვირით და დათხოვნილს მიეცეს 3 თვის ჯამაგირი,—ყველა ეს მოთხოვნები აღიარებულ იქმნეს ისეთ მოთხოვნებათ, რომლებიც ეხება მხოლოდ გაზ. «ისარის» რედაქციას რადგან მარტო ამ გაზეთს ჰყავს ქუთაისში თვიური დამტარებლები დაქირავებული, და კვიცარიძე აქ არაფერს შუაშია და არაფერი გამოსარჩენი არა აქვს, რომ რაიმეს მომატება შეეძლოს. მაშასადამე, ეს მოთხოვნები «ისარის» თვიურ დამტარებელთ უნდა წარუდგინონ თვით გაზეთის რედაქციას და არა ის. კვიცარიძეს.

4. გაზეთების დამტარებელნი ვალდებულნი არ არიან უსასყიდლოდ დაურიგონ ხელის-მომწერთ „Закавказье" ან სხვა რომელიმე გაზეთი, სანამ გაზეთის რედაქცია მათ არ შეუთანხმდებათ.

5. დაევალოს ის. კვიცარიძეს მისწეროს „ნაკადულის" რედაქციას, რომ ამ ჟურნალს თვიურ დამტარებელთ სასყიდელი ერთი-ორად მოემატოთ.

6. ორთავე მხარესთვის შემოღებულ იქმნეს საანგარიშო წიგნაკები, სადაც უნდა ინიშნებოდეს წაღებულ გაზეთების რაოდენობა და ანგარიშის გასწორება.

7. მეგაზეთეების მიღება და დათხოვნა ხდება ორისავე მხარის, ე. ი. კვიცარიძისა და ახლანდელ მეგაზეთეების, შეთანხმებით.

8. თვიური დამტარებელი, რომელიც, ავადმყოფობისა ან სხვა მიზეზის გამო, გაზეთებს ვერ დაარიგებს, ვალდებულია თავის მაგიერი კაცი დააყენოს.

9. თუ ხელის მომწერთ გაზეთი თავის დროზე არ მიუვიდა ან დააკლდა, დამტარებლის მიზეზით, კანტორას უფლება აქვს გამოურიცხოს დამტარებელს დანაკლისი გაზეთის ფასი.

10. მეგაზეთეებს მიაქვთ გაზეთები ან ნაღდ ფულზე ან ნისიათ; უკანასკნელ შემთხვევაში მეგაზეთეები აძლევენ კანტორას ბედ თვითო მათგანი ერთ თუმანს, საიდანაც, თუ ვინიცობაა რომელმამე მეგაზეთემ ორი დღის ანგარიში არ გაასწორა, კანტორა იტოვებს, რაც ერგება. გაზეთის ნისიად წამღები ვალდებულია გაასწოროს ანგარიში ყოველ დღე, საღამოს, და თუ 2—3 ჯერ ანგარიში არ გაასწორა, მას, ამხანაგებს დადგენილებით, ესპობა გაზეთის მიცემა.

11. მეგაზეთეებს უფლება არა აქვთ კანტორას დაუბრუნონ უკან **ნახმარი** გაზეთი. ვისაც ეს დაუმტკიცდება, პირველად მას ესპობა გაზეთების მიცემა ერთი კვირით და თუ კიდევ განიმეორა—სრულიად, სამუდამოდ.

12. მეგაზეთეები ვალდებულნი არიან გაჰყიდონ გაზეთები იმ ფასში, რაც ზედ აწერია გაზეთებს. ვინც ამას არ შეასრულებს, იმას სამჯერ გაფრთხილების შემდეგ, გაზეთების ყიდვა ნება მოესპობა.

13. მეგაზეთეებს ან დამტარებელთ უფლება არა აქვთ „კარტის" თამაშისა არც კანტორის ეზოში, არც სხვაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში შემჩნეული, ამხანაგების დადგენილებით, დათხოვნილი უნდა იქმნეს.

14. მეგაზეთეებმა უნდა მიიღონ გაზეთები რიგ-რიგობით და მერე **ერთბაშ** გავიდნენ კანტორის ეზოდან.

15. მეგაზეთეები ვალდებულნი არიან ერიდონ ჩხუბს, ლანძღვას და ყვირილს, როგორც კანტორის ეზოში ისე სხვაგან.

16 ორივე მხარე, ე. ი. კანტორის გამგე და მეგაზეთეები, ვალდებულნი არიან ერთმანეთს ზრდილობიანად და ადამიანურად მოექცნენ.

17. ყოველივე უთანხმოება, თუ შერიგებით არ გათავდა, უნდა გადაეცეს გადასაწყვეტათ—რ.., ორ...

**ხელს აწერს 5 კაცი.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ივნისი

### რ უ ს ე თ შ ი.

**კიევი.** უმანის მაზრაში, ბარონის მამულის ჭარსლის პლანტაციებში მომუშავე გლეხებმა სხვა სოფლიდან მოსული მუშები გარეკეს. მოკლეს სტრაჟნიკებს.

კიევის მაზრის სოფ. გრუსსკაში ებრაელის დუქანს და ცეცხლი. მოჰკლეს 11 წლის ბავშვი და დაასახიჩრეს ქალი. წაიღეს 15 გირვანქა შაქარი და 20 მანეთი ფული.

**ვარშავა.** 23 ივნისს საღამოთი ქალაქის განაპირას მიდიოდა ორი სტრაჟნიკი და ერთი სალდათი. მათ ხუთმა შეიარაღებულმა უცნობმა სროლა აუტეხა და სამთავენი მსუბუქად დასჭრა.

**ვილნო.** ბერმანის სახლში ყუმბარამ იფეთქა, იქაურობა მიანგრ-მოანგრია და ცეცხლიც გააჩინა. მძიმედ დაიჭრა ერთი მდგმური, მსუბუქად—სამი ქალი. ბერმანი მიმალა. მისი ცოლი დააპატიმრეს.

**ოდესა.** შუადღისას პერეიპზე მოჰკლეს ინჟენერი ლევიკი. მკვლელი მუშა მიიმალა. ლევიკს ოუნუქის ქარხანა ქონდა.

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტროში შესდგა კომისია. კომისიამ უნდა გამოარკვიოს წეს-რიგი რკინის გზის ხარჯით არსებულ დაბალ სასწავლებელთა მართვა-გამგეობისა. საერო განათლების სამინისტროს 1908 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეაქვს ახალი ხარჯი ათ საოსტატო სემინარიის და ერთ ინსტიტუტის დასაარსებლად. რადგან უნივერსიტეტები მეტის-მეტად სავსეა, საერო განათლეის მინისტრმა უნივერსიტეტებს ცირკულიარი დაუგზავნა, რომ ყველა ფაკულტეტზე ახლად შემსვლელ სტუდენტთათვის დააწესონ განსაზღვრული რიცხვი და ამ რიცხვზე მეტი არ მიიღონ.

**პოლტავა.** ერთ ლუდ-ხანაში კარგად მოწყობილი სტამბა აღმოაჩინეს. ფერშლის სვოლის მოსწავლის ბინაზე ორი კაცი დააპატიმრეს. დააპატიმრეს აგრეთვე ორი კაცი სარევოლიუციო კომიტეტიდან. ერთი პორტფელიანი კაცი გაიქცა, ისიც შეიპყრეს. პორტფელში ორი ხელით სასროლი გრანატა აღმოჩნდა.

**ლოძი.** ვიღაც უცნობებმა მოჰკლეს თავისსავე სახლში [illegible] ფრემელი.

**ელისავეტგრადი.** ორის ბოროტ-მოქმედის დაჭერის დროს ერთი პოლიციელი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს.

**ვარშავა.** პრაგაში მატუშევსკის სახლში სამმა ახალგაზდამ მოჰკლა მატუშევსკის ვაჟი და დასჭრა 18 წლის ქალი.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ ზღვათა მინისტრს მიანდო 1908-1911 წლამდე ყოველ წელ ვ 31,000 მანეთი შეიტანოს ხარჯთ-აღრიცხვაში. ეს ფული უნდა მოახმარონ გემების [illegible] და [illegible] და ნაღმის მოწყობას.

ვატნი კუშმულდზე [illegible] კაცი თავს დაესხა სახაზინო არყის ფულის ამკრეფს, დასჭრეს ის და 2000 მანეთი წაართვეს.

**კოსტრომა.** ნერეხტისა და კინეშმის მაზრებში საერობო კრებაზე არჩეულთა უმრავლესობას მემარჯვენენი შეადგენენ, ბუისკის მაზრაში—ზომიერები, მაკარიევის და ვეტლუგსკის მაზრებში—მემარცხენენი. ამ უკანასკნელში გუბერნატორმა არჩევნები განასაჩივრა.

**სტავროპოლი.** ოსეტის დივიზიის პირველი სოტნის უფროსს კრილოვს ღამე 19 ჯერ ესროლეს. ეჭვი მიიტანეს ამას წინად გაქცეულ დივიზიონის ერთ მხედარზე.

**ვილნო.** ყუმბარის აფეთქების შემდეგ ნაცარ-ტუტად იქცა ბერმანის სახლის მოწყობილება. დაჭრილნი რუბინი, კავცოვისა, სტრუპინსკისა ადრეც დადიოდნენ ბერმანთან. იმათ სახლებს სჩხრეკავენ.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ 22 ივნისს სასურველად სცნო არ დაითხოვოს დიდი ნაწილი სახ. სათათბიროს კანცელარიის მოხელეებისა და დანიშნული ჯამაგირი აძლიოს. 155 კაციდან მხოლოდ 27 დაითხოვენ და შემწეობას აღმოუჩენენ. დანარჩენთათვის პირველ ნოემბრამდე საჭიროა 56,845 მანეთი.

**ელისავეტგრადი.** გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც აკრძალულია ყოველგვარი სამეურნეო გაფიცვა, ანუ მისდამი წაქეზება და მოსულ მუშათა გაძევება. დამნაშავეს 500 მანეთით დააჯარიმებენ, ან 3 თვის დააპატიმრებენ.

**პოლტავა** შეიპყრეს ახალგაზდა კაცი, რომელიც რევოლვერს ისროდა. იგი გიმნაზიელი გამოდგა. ხელში საკვაიაჟო ეჭირა, სადაც ორი ყუმბარა აღმოაჩნდა.

**მინსკი.** შეიპყრეს ორი კაცი. ისინი სარევოლიუციოდ ფულს აგროვებდნენ. დაჭერის დროს მათ სროლა ასტეხეს. ერთი დასჭრეს 16 წლის ჭაბუკია.

**ლოძი.** სტრაკოვსკის ქუჩის კუთხეში საღამოზე შეიარაღებულებმა ტრამვაიდან ჩამოათრიეს მუშა ტომაშევი და მოჰკლეს.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ სცნო, რომ ძირითად კანონების მე-14 მუხლი, რომლის ძალითაც ჯარის და ფლოტის საქმე სავსებით ხელმწიფის ხელში უნდა იყოს, ასეთსავე უფლებას აძლევს ხელმწიფეს მოსაზღვრე დარაჯთა შესახებ.

### უ ც ხ ო ე თ შ ი.

**შან-ჰაი.** ანტუხოვის (ჩინეთის) გუბერნატორს ყუმბარა ესროლეს, როცა იგი ჟანდარმთა სასწავლებელს ათვალიერებდა. გუბერნატორი უვნებლად გადარჩა, მოკვდა სამი აფიცერი, ხოლო დაიჭრა ერთი.

---

რომ თონეში ტუჩების დაწვისა გვეშინიანო, მაგრამ თუ ტუჩები გასაფრთხილებელია, ცხვირი რაღა შორს არის? ნამდვილად კი ეს ჩვეულება პირდაპირ შედეგია იმ ბრძანებისა, რომელიც მეხუთე საუკუნეში გამოსცეს სპარსეთში. სულთქმა უწმინდურია და ცეცხლი არ შეურაცხყოთო ეს ბრძანება მაშინ ხალხს ძალად მოახვიეს თავზე და ეხლა პირვანდელი მნიშვნელობა დავიწყებულია და უბრალო ჩვეულებადაა გადაქცეული.

თუმცა საქართველოში მაზდაიანობამ სპარსელების გავლენით მოიკიდა ფეხი, მაგრამ ქრისტიანობაც ძლიერ ჩქარა გავრცელდა. პირველად ქრისტიანობა ასურეთიდან შემოვიდა საქართველოში, რადგან ახლო იყო პალესტინაზე. მეორე საუკუნეშივე დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

აქ ლექტორი შეეხო საინტერესო საგანს, რომელიც დასავლეთ ევროპის მეცნიერებმა ბოლო დროს დაასკვნეს დაბადების და სახარების დაწვრილებით შესწავლის შემდეგ. მაგრამ რადგან რუსეთში ამ საგანზე თავისუფლად მსჯელობა ჯერ-ჯერობით აკრძალულია, ლექტორმაც მხოლოდ გაკვრით მოიხსენია.

ისტორიულ წყაროების ცნობა, ვითომ ანდრია პირველ-წოდებულს ექადაგოს ჩვენს ქვეყანაში, ლექტორის აზრით, ყოვლად საფუძვლს მოკლებულია. ანდრია ვერ წამოვიდოდა წარმართებში ქრისტიანობის საქადაგებლად, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ იგი იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც წარმართთა შორის წინდაუცველთლად ქრისტიანობის ქადაგების მოწინააღმდეგე იყო. ახლა მეცნიერებამ ის აზრიც კი შეარყია, ვითომ პეტრე მოციქულს თვით რომში ექადაგოს.

საქართველოში ქრისტიანობა ორის გზით შემოდიოდა. ერთი—იერუსალიმ-ასურეთ-სომხითით, ხოლო მეორე—ბიზანტია-რომით. ამ ორ ნაკადულს შორის დიდი განსხვავებაა. ასურული ნაკადული წირვა-ლოცვას ახლად მოქცეულ ერების ენაზე აწყობდა, ხოლო ბიზანტია-რომის ნაკადული წირვა-ლოცვას მხოლოდ ბერძნულ ენაზე ავრცელებდა. კიდეც ეს იყო მიზეზი, რომ თუმცა დასავლეთ საქართველოში ადრე შემოვიდა ქრისტიანობა, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა, სანამ მეხუთე საუკუნეში ასურეთის გავლენით ქართული ენა არ დაიპატრონა ახალ მოძღვრების ღვთის მსახურებას. მაშინ სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვა დასავლეთ საქართველოშიაც გავრცელდა და იქ ქრისტიანობაც განმტკიცდა.

თქმულებანი მეოთხე საუკუნეში ქართლის მოქცევის შესახებ ქრისტეს სჯულზედ ნამდვილი ფაქტია. ამას მოწმობენ უცხოელი მწერლები და სხვათა შორის, რუფინი, რომელიც ამ მოვლენის თანამედროვე იყო.

არ არის დანამდვილებით ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა ქრისტიანობა მეოთხე საუკუნის შემდეგ, თუმცა ეჭვს გარეშეა, რომ დიდი ბრძოლა უნდა მომხდარიყო ქრისტიანობასა და მაზდაიანობის შორის. ეს ბრძოლა მწვავე უნდა ყოფილიყო, რადგან ქრისტიანობასა და მაზდაიანობის შორის საერთო არა არის რა და ამ ორ მოძღვრების შერიგება ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ, ასე თუ ისე, საქართველოში ქრისტიანობამ გაიმარჯვა.

თავის თავად ცხადია, რომ ეს მოვლენა, ქართველების გაქრისტიანება, სპარსელებისთვის ძლიერ საწყენი უნდა ყოფილიყო, რადგან ამის შემდეგ მთელი საქართველო ბერძნების გავლენის ქვეშ ჩავარდებოდა და სპარსეთის გავლენა იკლებდა. ამიტომ სპარსეთის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა ითხოვდა, რომ საქართველოსა და სომხეთში ქრისტიანობა ან შეეჩერებინა, ან გადაეგვარებინა.

სპარსეთს ბევრი ცდა არ დასჭირდა და ერთმა გარემოებამ თითქოს ხელიც შეუწყო. საქმე იმაშია, რომ ამ დროს ქრისტიანთა შორის საზოგადოდ მწვალებლობის მეოხებით დიდი განხეთქილება ჩამოვარდა. ასტყდა დოგმატიური ბრძოლა. ქრისტიანობა გაიყო ორ ბანაკად. ერთი მხარე აღიარებდა, რომ ქრისტეს ორი ბუნება აქვსო, მეორე, პირიქით, ერთ ბუნებოვნად ხდიდა. ამ უკანასკნელთ სახელად დაარქვეს მონაფიზიტები ანუ ერთ ბუნების მაღიარებელნი, სპარსეთი ამ ბრძოლაში დიდ მონაწილეობას იღებდა, რადგან იმისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რომელი მხარე გაიმარჯვებდა. ბევრის უთანხმოებისა და დავიდარაბის შემდეგ ორ ბუნებოვნების მაღიარებელთ გაიმარჯვეს და საქართველოც მათ მიემხრო. ეს გარემოება სომეხ-ქართველთ უთანხმოების მიზეზად გახდა, რადგან სომხებმა ორ ბუნებოვანება არ მიიღეს.

უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც საქართველოს, ისე სომხის და სხვა ქრისტიანების ეკლესიები ამ დროს, თავისუფალნი და დამოუკიდებელნი იყვნენ. საზოგადოდ ქრისტიანობა პირველად დამყარებული იყო კოსმოპოლიტიურ ნიადაგზე: ერების ურთიერთ შორის ქრისტეს მიერ ძმობასა და ერთობაზე,—ამიტომ ეროვნულ უთანხმოებას ადგილი არა ჰქონდა. მხოლოდ შემდეგ, როცა ქრისტიანობამ ფეხი მაგრა მოიკიდა და საწარმართო სჯულის გავლენა ქრისტიანობაზე გადავიდა, ქრისტიანობა გაბატონდა და კიდევაც გაეროვნულდა.

როგორც მოვიხსენეთ, ქართველების ორ ბუნებოვანების მოძღვრების მიღებამ ქართველ-სომეხთ შორის უთანხმოება ჩამოაგდო. შემდეგში ამ მოძღვრებამ ესენი ერთმანეთს სამუდამოდ დააშორა ამ უთანხმოების მიზეზად ზოგიერთნი ეროვნულ ხასიათს ასახელებენ, მაგრამ ეს შემცდარი აზრია. უთანხმოების მიზეზი მხოლოდ დოგმატიური მხარე იყო. ამის შესახებ დარჩენილა საინტერესო მიწერ-მოწერა ქართველ კათალიკოსის კირიონს და სომხის კათალიკოსის აბრაამს შორის. მიწერ-მოწერის საბაბად შემდეგი გარემოება გამხდარა: წურნავის ეკკლესიაში სომხებიც დადიოდნენ და ქართველებიც. წირვა-ლოცვა სომხური იყო, ხოლო ქადაგება ქართულად სწარმოებდა ეპისკოპოსად იქ ხან ქართველი ინიშნებოდა, ხან სომეხი. სხვათა შორის იყო ვინმე ეპისკოპოსი პეტრე, კარგად მცოდნე როგორც სომხურისა ისე ქართულისა. პეტრე მონოფიზიტებს შეუერთდა და ამიტომ ქართველებმა გააგდეს იგი. იმან კათალიკოსს აბრაამს მიმართა საჩივარით, აბრაამიც გამოესარჩლა. აი ამის შესახებ გაიმართა მიწერ-მოწერა. ჯერ ორთავე კათალიკოსები ერთმანეთს პატივით იხსენიებენ, სცდილობენ ურთი-ერთ შორის შერიგებას, მაგრამ მათ შორის მოსარიგებელი ნიადაგი არ იყო, და სამუდამოდ განშორდნენ ერთმანეთს. სომეხთა კათალიკოზი აბრაამი ამტკიცებდა, ქართველებმა ხელშეკრულება დასდეს ორ ბუნებოვანების უარის ყოფაზე, და ახლა ამის მიღებით ხელშეკრულება დაარღვიესო. ქართველთა კათალიკოსი კირიონი უარს არა ჰყოფდა ხელშეკრულებას, მაგრამ თავს იმით იმართლებდა, რომ იერუსალიმში და ყველა 5 პატრიარქი ორბუნებოვანებას აღიარებენ და ჩვენც არ გვინდა ჩამოვცილდეთ მათაო. აბრაამი ხუთ პატრიარქის რწმენას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა, საქმე პატრიარქები კი არა, დოგმატიური მხარეაო და სხვა. ერთ წერილში აბრაამი, სხვათა შორის, ამბობდა: უცნაური ხმა მესმის, ვითომ წურნავში სომხური მოგისპია და ქართული შემოგიღიაო. კირიონმა უპასუხა დიახ ქართული შემოვიღე, მაგრამ სომხური კი არ მომისპიაო.

აქ, ზოგიერთის აზრით, ვითომ და ეროვნულმა შუღლმა იჩინა თავი, მაგრამ, თუ კი დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ეროვნულ შუღლს აქ ადგილი არა ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ კირიონმა პეტრეს შემდეგ ეპისკოპოსად დანიშნა ვიღაც ასურელი, რომელმაც სომხურიც იცოდა და ქართულიც. თქმა არ უნდა, კირიონს ეროვნული გრძნობით რომ ეხელმძღვანელა, უსათუოდ ქართველს დანიშნავდა და არა ასურელს. მაინც შერიგება არ მოხდა და ამ გარემოებამ სომხები და ქართველები ერთმანეთს დააშორა. სპარსეთი ამ საქმეში დიდ მონაწილეობას იღებდა, რადგან სპარსეთის პოლიტიკისათვის სომეხ-ქართველთა შორის სარწმუნოებრივი განხეთქილება დიდად ხელ საყრელი იყო.

სპარსეთმა ჯეროვნადაც ისარგებლა ქრისტიანთა სარწმუნოებრივის შუღლით, ურთიერთ შორის დაქუცმაცებით, და მეექვსე საუკუნეში საქართველო ხელთ ჩაიგდო. ტფილისში სპარსელებმა თავიანთი მირსპანი დასვეს უფროსად. სხვაგან საქართველოში ციხის თავები დააწესეს, რასაკვირველია, ისევ სპარსელები. მეშვიდე საუკუნეში სპარსელების ბატონობა მოისპო, რადგან თვით სპარსელებიც არაბებს ჩაუვარდნენ ხელში. არაბებმა საქართველოც დაიმორჩილეს. ლექტორის აზრით, გერმანულად ჩინებულად გამოკვლეულია, თუ როგორ და რა პირობით მოხდა ქართველებისა და სომხების დამორჩილება არაბების მიერ. არაბები სცდილობდნენ ხალხთა გამაჰმადიანობას. ვინც სჯულის გამოცვლას არ ისურვებდა, ხარკს შეაწერდნენ. ქართველებმა სჯულის გამოცვლა არ ისურვეს და არაბებმაც ხარკი შეაწერეს თითოული ქართველი იხდიდა თითო ოქროს. არაბებს საქართველოში კულტურული წეს-წყობილება მაინც და მაინც არ შეუცვლიათ. ისინი მხო-

**ნიუ-იორკი.** პრეზიდენტმა რუზველტმა კონტრ-ადმირალს ბრაუნსანს განუცხადა, აზრადა მაქვს მთელ ქვეყანას ვაჩვენო საოცარი მაგალითი იმისა, თუ რა ზომამდე შეუძლიან ამერიკის ფლოტს დაიცვას შეერთებულ შტატების ნაპირებიო. ახლანდელ დროში, ფლოტის დემონსტრაცია სწორედ რომ ხელსაყრელია, როცა შტატებს ყველა სახელმწიფოსთან მშვიდობიანი განწყობილება აქვსო.

**ვაშინგტონი.** ფლოტის დიდ ოკეანეში გასაცილებლად და ნაპირების საუკეთესოდ დასაცველად საჭირო მუშაობას შეუდგნენ. ახალ გემებისთვის ამზადებენ ზარბაზნებს, ტყვია-წამალს. ყუმბარებს, ნაღმებს. მასალა საუკეთესო ხარისხისაა. პედჟედზუნდაში მშრალ დოკს აშენებენ. ზომებია მიღებული მირაილენტის არხის გასაღრმავებლად. მსწავლულ მექანიკოსებს სხვა და სხვა შეღავათს აძლევენ, თუ კი ბრომენტონში წასვლას მოისურვებენ.

**ვაშინგტონი.** სტატს-სეკრეტარმა ედიმ უარჰყო ის ამბავი, ვითომ შეერთებულ შტატების მთავრობას სურვილი ჰქონდეს მექსიკისაგან შეიძინოს საზღვაო სადგური. მექსიკა მხოლოდ დათანხმდა, მისცეს შტატებს ნახშირი სამუდამო საწყობიდან, რომელიც მაგდალინას სრუტეზე მდებარეობს. ამ საწყობიდან ნახშირი მიეცემათ ამერიკულ გემებს ყოველ წლივ ვარჯიშობის დროს

**ნარბონნა.** სამსახურიდან გასულმა ბერებმა დაადგინეს, ქალაქის საბჭოს წევრებმა ერთხელ კიდევ უნდა შეიტანონ ცალ-ცალკე სამსახურიდან გასვლის ქაღალდი.

რედაქტორ-გამომცემელი

ე. ავალიშვილი.

## გამოსადეგი ცნობანი

### მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

**ტფილისიდან მიდის**

**ბაქოს**: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს**: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3წ.).

**ბორჯომს**: 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან**: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

**ბათუმიდან**: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

**ბორჯომიდან**: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან**: 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).


## განცხადებანი

# კლინიკა

კბილის ავადმყოფობისა

**ლ. შტრეიხერისა**

**კბილის საექიმო სკოლასთან**

ერევნის მოედანი (პუშკინის ქ. 3).

ავადმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან 1 საათამდე.

ფასი მკურნალობისა:

| | |
|---|---|
| საექიმო რჩევა საზოგადოდ | 20 კ. |
| ერთი კბილის ან ძირის ამოღება | 20 „ |
| კბილის გაწმენდა | 50 „ |
| „ „ არის უფრო ძვირიც | |
| პლომბა გუდაპერჩისა | 50 „ |
| „ „ ცემენტისა | 1 მ. |
| „ „ მეტალიური | 1 „ |
| „ „ ვერცხლისა ამალგამა | 1 „ 50 „ |
| „ „ ემალისა | 1 „ 50 „ |
| „ „ ფაი ფურისა | 3 „ |
| „ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე. | |
| „ „ წმინდა ოქროსი | 3 „ |
| „ „ უფრო ძვირიც. | |
| ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი: | |
| „ „ დიოტორიტიული | 1 „ |
| „ „ კრამპონისა | 1 „ 50 „ |
| ხელოვ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით: | |
| „ „ თითო კავი | 1 „ |
| შტიფტის კბილები ოქროზე | 3 „ |
| კორონკა ლოგანისა | 4 „ |
| კორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ | |
| ამოღება კბილისა უტკივილო ანესტეზიით | 1 „ |
| საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ | |
| აპარატი კბილების გასასწორებლად | |
| ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობისამებრ. | |
| და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ. | |

(100—ბუხ.—9)

ამ ცოტა ხანში გამოვა და ... ასასყიდად ახალი წიგნი

**ა. საგუელისა**

სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში.

(3—უ.—3)


ქრისტიანობაზე, რაც, ალბად, არა ერთმა და ორმა ქართველმა დიდებულმა ჩაიდინა, რომ არაბებთაგან პატივი მიეღო და ერთგულება დაემსახურებინა. იოანნე საბანისძემ აბოს ცხოვრების აღწერის დროს სწორედ ამ მხარეს მიაქცია ყურადღება და კიდევაც მიზანს მიაღწია. მის დრომდე წმინდანთა ცხოვრების აღმწერელთაც ჰქონდათ ასეთი მასალა, ესტატე მცხეთელი—წამებული, სპარსელი იყო, რაჟდენი—წამებული სპარსელი იყო, მაგრამ მათის ცხოვრების აღმწერლებმა ამ ხერხს ვერ მიაგნეს. აბომ, გაბატონებულ არაბთა ნათესავმა, დევნილთა სჯული შეითვისა და მისთვის წამება მიიღო, ამბობდა იოანნე საბანისძე და ამნაირად მან ადგილობრივ მოვლენის მიზეზით საზოგადო მოვლენა დააფასა. ამ გარემოებამ გულს ჩაახედა და გავლენა იქონია საზოგადოებაზე.

ამავე დროს გაჩნდა საქართველოში მონოზნობა. კერძო მლოცველნი წინადაც იყვნენ, მაგრამ მაშინ სამონასტრო ცხოვრება არ იყო. მონოზნები სოფლად დადიოდნენ და ქრისტეს ქადაგებდნენ. ხალხი ამათ ნებაყოფლობით ასაჩუქრებდა და ისინიც ამნაირად თავს ირჩენდნენ. მაგრამ დროთა განმავლობის შემდეგ მონოზნობამ პირვანდელი წმიდა ხასიათი დაჰკარგა, მონასტრებში გაჩნდა საკუთრება, საკუთრებას მოჰყვა ურთიერთ შორის ქიშპობა და ჩხუბი. მონასტრებმა შეიძინეს უძრავი ქონებაც, მიწა-წყალიც. ამ სამონასტრო მიწას სხვა ამუშავებდა და მონასტერს ღალას აძლევდა. ამნაირად, პირვანდელი სახე მონასტრების შინაურ ცხოვრებისა შეიცვალა. შემცდარმა შეხედულებამ ბოლო მოუღო განსპეტაკების მოძღვრებას და ბერები, სიწმინდის მაძიებელნი, საკუთრების უარმყოფელნი, ბოლოს ბატონებად წამოსკუპდნენ და ქვეყნიერ განცხრომა-ფუფუნებას მიეცნენ.

(დასასრული იქნება)

ლოდ შემოსავალს, გამდიდრებას ცდილობდნენ და პირველ ხანს სარწმუნოებისათვის ხალხს არა სდევნიდნენ. სჯულის სდევნა მათ შემდეგში დაიწყეს, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველების ეროვნულ გრძნობის გაღვიძებისთვის.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოდ ქრისტიანობა მეოთხე საუკუნემდე წმიდანებს თაყვანს არა სცემდა წმიდანები არც კი იყვნენ. იყვნენ მხოლოდ წამებულნი და მარტვილნი, რომელთაც პატივით იხსენიებდნენ. მხოლოდ მეოთხე საუკუნის შემდეგ, როცა ქრისტიანობამ ბერძენ-რომაელების ფილოსოფიისა და სჯულ-მოძღვრების ზეგავლენით სხვა ელფერი მიიღო, წმიდანებიც გაჩნდნენ და მათ თაყვანის ცემაც დაუწყეს. სხვათა შორის მეშვიდე და მერვე საუკუნოებში წმიდანების თაყვანის ცემამ საქართველოს ეკკლესიას ეროვნული მიმართულება მისცა. საქმე იმაშია, რომ არაბებმა აწამეს აბო ტფილელი, რომელიც ჩამომავლობით არაბი იყო. ეს გარემოება ჩინებულად გამოიყენა იმის ცხოვრების აღმწერელმა, კაცმა მეტად ნიჭიერმა და შორს გამჭვრეტელმა იოანნე საბანისძემ. იგი მიხვდა იმას, რასაც მის დრომდე სხვები ვერ მიხვდნენ. უცხოელის აბოს წამება იოანნე საბანისძემ ჩინებულად გამოიყენა ქართველების ეროვნულად შესაკავშირებლად და ეროვნულ გრძნობათა განსამტკიცებლად. აბოს წამებამდი ქართველები ადგილობრივ წმიდანებს პატივს არა სცემდნენ. აბოს წამების შემდეგ კი ქრისტიანობას საქართველოში მეტი ზნეობრივი ძალა მიეცა. აბო არაბი იყო, სწორედ იმ ერს ეკუთვნოდა, რომელიც ქრისტიანობის წინააღმდეგი იყო და ქართველებს ბატონობდა. ყველა გაიფიქრებდა, რომ აბოს არა თუ თავი უნდა შეეწირა ქრისტიანობისთვის, არამედ, პირ-იქით, ქრისტიანიც რომ ყოფილიყო, უარი უნდა ეთქვა


**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

# კეფირი

# ო. კორონისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძაფეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—35) პატივ. **ო. კორონა.**

პირველი კერძო სამკურნალო

# დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**უოველ დღე, კვირეებს გარდა.**

**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი**: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**შ. ი. ბაბანაშოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გრიგოლაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ბ. ბ. გარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ბ. ი. შმერლინგი:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—102)



1—2 მან. აილებს მსურველი დღეში.

# საჭიროა

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფელ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ ვგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფელ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—40)

პირველ აპრილიდან ტფილისში გაიხსნა ფეხსაცმელების სახელოსნო

# „იმედი“

მიხეილის ქ., № 55, სახ. სლივიცკისა.

სახელოსნოში მზადდება: შევროვისა, ხრომისა და სხვა ძვირფას ტყავეულობის ფეხსაცმელები ქალებისა და ვაჟებისათვის. აგრეთვე მზადდება წუღები, მესტები, სხვა და სხვა შავი საქონელი და ზაფხულისათვის საუკეთესო პარუსინების სხვა და სხვა ფერის ფეხსაცმელები. მსურველთ ყველა ზემოხსენებული საქონელი ხელმისაწვდენ ფასებში დაეთმობათ. სახელოსნო ყველა საქმეებს ასრულებს პირიანად და სუფთად. (უ)

**იბეჭდება და მალე გამოვა არტურ შნიცლერის ცნობილი თხზულება**

# ფერხული

ათი დიალოგი, ავტორის სურათითა და წინასიტყვაობით, **თარგმანი ია ეკალაძისა.**

გამყიდველებს დაეთმობათ ოციდან ოცდა ათ პროცენტამდე. ვისაც ამ წიგნის დაბარება სურს, მიმართოს: **ტფილისში, კიროჩნი ქუჩაზე, ამხანაგობა „ნდობის“ გამგეს სვიმონ ბერძნიშვილს.**

(10—უ—5)

# სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

ტფილისში

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026)

მიდება გარედან მოსიარულე ავადმყოფების.

**მიწვიდე ბაბაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ბ. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ავეტისოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. გიმონცი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**ბ. ბ. შეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—82)

ტფილისის კბილის საექიმო

# სკოლა

# ლ. შტრეიხერისა

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო**. სწავლის კურსი $2^1/_2$ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის დათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—20)

# ქუთაისში

წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების სააგენტო

## „იმერეთი“

აცხადებს, რომ „ისრის“ ქუთათურ ხელის მომწერლებს დროებით გაზეთის მიღება შეუძლიანთ სააგენტოს კანტორაში ბალახვანის ქუჩაზე (კოლხიდის ამხანაგობასთან) იქვე იყიდება როგორც „ისრისა“, ისე სხვა გაზეთების ნომრები.

(4—4)



კომისიონერი მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი

# მ. ე. ფრიდონოვი

**ტფილისი, სერგიევის ქუჩა**, № 11.

იყიდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:

შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს“, საბერველებს, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.

შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ **„სკრასთან“**. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან“**. (50—751—46

**კურსები კავკასიაში.**

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განკარგულებაში მყოფი**

ბუხჰალტერიისა და საკანცელარიო ცოდნის კურსები

# გ. ა. კირაკოზოვისა

(ბათუმი, მორსკაია № 11)

ამ კურსებზე ორისავე სქესის მოსწავლენი იძენენ საკომერციო მეცნიერების საგანთა სრულ სპეციალურ ცოდნას. კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას: სამმაგ და ორმაგ. იტალ., სარკინისგზო ანგარიშს და საკითს საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ, საკომერციო არითმეტიკას, საკომ. ეკონომიას, საკომ. კორესპონდენციას, საკომ. კანონთ ცოდნას, საკომ. გეოგრაფიას და ისტორიას, არითმეტიკას ჩოთქზე, კალიგრაფიას, სტენოგრაფიას და წერას მაშინაზე.

კურსებთან არის: მცირედ მომზადებულთათვის კურსები რუსულ ენისა, არითმეტიკისა და სხ., კურსები უცხო ენებისა და ხელმისაწვდენი პანსიონი. სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ცნობები და პროგრამა კურსებისა—უფასოდ. მსურველთა და თხოვნების მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. კურსების კანცელარიაში განზრახულია უმაღლესი საკომერციო კურსები.

(10—124—6)

რუსულ თვით-შემმოწმებულ ბუხჰალტ

## ნამდვილი კახური ღვინო




ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—71)

# გაფრთხილება

**სავაჭრო სახლის**

# ნ. ი. ბოზარჯიანცის და ამხ.

თამბაქოს ქარხნისაგან (არსებობს 1858 წლ. ტფილისში)

რადგან დღემდე კიდევ სარგებლობენ ჩვენის პაპიროსების **„სიმპატია“** 10 ცალი 5 კაპ. და № 8—10 ც. 5 კაპ., აგრეთვე № $^7/_{16}$—10 ც. 3 კ. სახელით და ჰყიდიან ყალბ პაპიროსებს, უმორჩილესად ვთხოვთ თამბაქოს მომწევთ, ყურადღება მიაქციონ ჩვენ საქარხნო მარკას




და ვვარს **ნ. ი. ბოზარჯიანც და ამხ.** ყალბ პაპიროზის დამზადებელთა წინააღმდეგ სასამართლოს მივმართავთ.

(10—130—10)